# სახალხო გაზეთი

№ 197 პარასკევი, 31 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი მეორე. № 197

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ. განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათ. შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ნის განცხადებათა ცენტრ. ლურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე

# სახალხო გაზეთი

წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანად:** წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

ამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.


ქვრივი ესმა ბესარიონის ასული დევდარიანისა, დავით, კონსტანტინე, შალვა, ოლინკა, მაშო, ბაბილინა, დუსა, ფეფუცა, ნინა, დავით მახარაძე, მისი დიდუაშვილი, მაქსიმე, უნგიაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—უსაყვარლესის მეუღლისა, მეორენი—ძვირფასის მამისა, მესამენი—ძვირფასის სიმამრის

## მოსე ალექსის ძის დევდარიანისას.

დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს, 31 დეკემბერს, დაბა ყვირილაში, წმ. ნინოს ეკკლესიაში, დილის 9 საათზე. (2—327—2)

კნეინა ეკატერინე იოსების ასული, კნ. ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ბეგთაბეგოვები და თ-დი ივანე გრიგორის ძე ბეგთაბეგოვი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი მეუღლის, მეორე—მამამთილის, მესამე—საყვარელ და დაუვიწყარ

## თ-დ ლუკა როსტომის ძის ბეგთაბეგოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ვაყაში 2 იანვარს 1911 წ. სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში. გამოსვენება შუადღის 12 საათზე (2—335—1)

მწუხარებით სავსე და ნატანჯი ცოლი მართა ალექსის ასული და შვილი გიორგი იოსების ძე რძალი ბაბო ჩითაევისა და ანა ხარამაძე სიძე ვანო კალატოზიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ქ. პიატიგორსკში

## იოსებ სოლომონის ძის ჩითაევისას

პირველი—ქმრისას, მეორე—საყვარელის მამისას, მესამე—მამამთილისას, მეოთხე—ძვირფასის ძმისას და მეხუთე—ბიძისას. გარდაიცვალა 29 დეკემბერს. დაკრძალვა მოხდება ქ პიატიგორსკში, კვირას, 2 იანვარს. (2—331—1)

დღეს პარასკევს 31 დეკემბერს დილის 11 საათზე ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება ნახევარ წლის პანაშვიდი

## თ-დ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილისა

რასაც აცხადებენ ნათესავთა და ნაცნობთათვის ანასტასია, ნიკოლოზ, იოსებ და ელენე ბარათაშვილები. (1—333—1)

დიდი ჯიხაიშის საზოგადოების ქსენონში 1911 წ. 1 იანვრიდან

## საჭიროა ქართულის მცოდნე

გამოცდილი ნასწავლი ბებია ქალი (აკუშერკა).

რომელსაც ჯამაგირი მიეცემა თვეში 30 მან., ბინა ერთი ოთახი გათბობით და განათებით და კვირაში ერთი დღის თავისუფლება.

დიდ-ჯიხაიშში და სხვა სოფლებიდან ქსენონში მონაწილეთაგან ბებია-ქალის მიერ აღებული შრომის სასყიდელი ეკუთვნის ქსენონს, გარეშეებისაგან აღებული ფული კი თვით ბებია-ქალისა. მისი იქნება აგრეთვე რასაც აიღებს თავისუფალ დღეებში. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ადრესით:

Диди Джихайши, Д-ру Ев. Г. Лосаберидзе. (286 ნ—იმერ.—3)

● სადღესასწაულო რეპერტუარი ●

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 43 (1)

კვირას, 2 იანვარს, 1911 წ.

◀ ქართული თეატრის დაფუძნების 61 წლის თავს ▶

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

I

## მსხვერპლი

თანამედროვე დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

II

## ს ა მ ზ ა დ ი ს ი,

სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროიდან, 1 მოქ. პ. უმიკაშვილისა. მონაწილეობს მთელი დასი.

მზადდება წარმ.: 6 იანვ. ნ. გვარაძის საბენეფისოდ „თამარ ბატონიშვილი“ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.**

3—3 რეჟის. ვ. შალიკაშვილი.

## ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

შაბათს, 1 იანვარს, დილის 12 საათზე,

**პროფ. ჟურაკოვსკი, გვაზავა და გეპშტეინი** წაიკითხავენ **ლექციას**

## ს ა ნ ი ნ ზ ე

**(რომანი არციბაშევისა).**

ბ. გეპშტეინი გაამართლებს სანინს, გვაზავა წაიკითხავს სანინის წინააღმდეგ და პროფესორი ჟურაკოვსკი წაიკითხავს თავის შეხედულებას. ლექციის შემდეგ გაიმართება საინტერესო კონცერტი ფასები ლექციაზე და კონცერტზე 5—50 კ. ბილეთები ისყიდება სახალხო სახლში, ყოველ-დღე. დასაწყისი დილის 12 საათზე. (3—396—2)

## დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. პ ფალიაშვილის:**

**№ 1.** **„მრავალ-ჟამიერ“**; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

**№ 2.** **ორი ქართული რომანსი:** ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

**№ 3.** **„ქართული საეკკლესიო საგალობლები“** (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

**№ 4** **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

**№ 5.** **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში**

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა N 18). (10—315—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ზ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. შიშმარიოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ ვ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო. ნ.—524)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირაღოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

**სოხოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—361)

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და გაიახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—41)

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—47

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. N 20. (0—ნ.—117)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ჟ)

**ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი**

**ქირურგიული და დედათა სნეულების**

## სააავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილის პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—8)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (ჟ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** **რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—64

**ექიმი** **ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—297

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**უკლობდნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ხარაპ**—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

**პონდოევი**—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ დ.**—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—87)

**1911 წლის პირველ იანვრიდან**

ქ. ტფილისში გამოვა ყოველ-კვირეული

**იუმორისტული ჟურნალი**

## „ეშმაკის მახე“.

ჟურნალი ეღირება: წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 50 კ., ერთი თვით 20 კ., ცალკე ნომერი 10 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Грибоѣдовская ул., типографія Е. Кереселидзе, для жур. „Эшмакисъ Махе“.

პირველი ნომერი დაიბეჭდება 31 დეკემბერს და გამყიდველებს დაურიგდება იმავე საღამოს 8 ს. (330 1—1)

## ვყიდულობ

## უძველეს ხელ-ნაწერებსა და წიგნებს.

სემეონოვის ქ. № 4. **მკრტიჩ ატამიანი.** (3—319—3)

## განცხადება

ქართველ სტუდენტთა საყურადღებოთ

**პეტერბ. ქართ. სამეცნიერო წრე** სთხოვს ქართველ სტუდენტობას შემდეგ ცნობებს: 1. ყოველ ქალაქიდან, სადაც უმაღლესი სასწავლებელი არსებობს გვაცნობონ **ადრესი რომელიმე სტუდენტისა, ან სათვისტომოსი, სამეც. წრეების გამგეობის წევრისა. 2.** დაახლოვებით გვაცნობონ აგრეთვე რამდენი ქართველი მოსწავლეა იმ ქალაქში. ამ ცნობათა მიხედვით გაეგზავნებათ მათ საანკეტო ფურცლები, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს წრეს, რაც შეიძლება მალე, შემდეგი ადრესით:

Петербургъ. Коллегія Имп. Александра II, при Университетѣ. I. Кипшидзе. წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **სამეც. წრის გამგეობა.** (3—2)

## ტფილისი, 31 დეკემბერი

**კახეთის რკინის გზა და კახელები.**

კახეთი ერთი უმდიდრესი კუთხეა საქართველოსი. დღემდის, როდესაც კახეთი მოკლებული იყო რკინის გზას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება ძალიან ძნელდებოდა. ამას გარდა კახლები ერიდებოდნენ ისეთ სამეურნეო დარგის განვითარებას, რომელსაც უგზოობის გამო შეიძლება ეზარალებინა. მიუხედავად ამ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, კახეთი მაინც ახერხებდა თავის ნაწარმოებების ბაზარზე გატანას. რკინის გზის გაყვანის შემდეგ სურათი არსებითად შეიცვლება. სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გასაღება გაადვილდება; კახურ ღვინოს, კახეთის ამ უმთავრეს წყაროს არსებობისას, ახალი ბაზრები გამოუჩნდება. საზოგადოთ ეკონომიური ცხოვრება კახეთისა შესამჩნევად გამოცოცხლდება.

ძნელია ეხლავე გათვალისწინება ყველა იმ სარგებლობისა, რომელსაც კახელებს რკინის გზა მოუტანს. რამდენადაც დიდია სარგებლობა რკინის გზისა, იმდენად მეტი გამჭრიახობა ჰმართებთ კახელებს. თქმა არ უნდა, რკინის გზის გაყვანის შემდეგ ბევრი ახალი ელემენტი შეესევა კახეთს. მდიდარი ლუკმა ყველასათვის მიმზიდველია. მიწის ფასები აიწევა. მამულების მყიდველთა სურვილიც გაიზრდება. თუ კახელებმა გონიერება არ იხმარეს, მალე მიწები ხელიდან გამოეცლებათ და რკინის გზა ჩვენთვის, ქართველებისთვის, თავის სასარგებლო მნიშვნელობას დაჰკარგავს. კახელები არ უნდა შეაცდინოს წუთიერმა მოგებამ და ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სულ ახლო მომავალში თავიანთ მამულებიდან ერთი ათად მეტს სარგებლობასა ნახავენ.

თუ კახელები საზოგადოთ და კახეთის თავად - აზნაურობა — კერძოდ გონიერად მოიქცნენ, რკინის გზა მათთვის სარგებლობის საუკეთესო წყაროდ გადაიქცევა. წინააღმდეგს შემთხვევაში კი რკინის გზა თავის მნიშვნელობას კახელებისთვის სანახევროდ დაჰკარგავს, და ამაში უპირველეს ყოვლისა თვით კახელები იქნებიან დამნაშავენი.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

**30 დეკემბერი.**

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატის სესია დასრულდა.

**ბერლინი.** ხელის მოწერა 4 % ვენგრულ რენტისა, რადგანაც სესხის მოთხოვნილებას ძლიერ გადააჭარბა, შეწყვიტეს.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ სავაჭრო ხელშეკრულობა ავსტრო-სერბიის შორის მიიღო.

**ბუქარესტი.** მეფის დეკრეტით, მინისტრებად დაინიშნენ: მინისტრ-პრეზიდენტად და ფინანსთა—კარპი; შინაგან საქმეთა—მარგელომანი; გარეშე საქმეთა—მაიორესკი, სამხედ-

რო—ფიდეპესკი; გზ[illegible]ჩეა, სახელმწიფო ქონებათა—ლაგოვარი; სავაჭრო—ნენცესკი, იუსტიციისა—კანტაკუზინო; განათლებისა—არიონი.

**ცინცინნატი.** სავაჭრო პალატის შენობა დაიწვა. ზარალი მილიონ დოლარზე მეტია.

**ვენა.** „ცაიტ."-ს ბელგრადიდან ატყობინებენ (...დიდანი არეულია)... მასსარიკის მიერ გამოაშკარავებულ საქმის დასასრულებლად არ ჩაითვლება, რადგანაც დელეგაციებში მარტივად უნდა იქნეს დადგენილი: ერენტალი და ფორგაჩი სიყალბის ჩადენაში თანამონაწილენი იყვნენ, თუ არა და სრულად გამართლებული არიან, თუ არა.

რევიზორები ალწერის შესაკითხ ბარათებში სიტყვას „რუსულ ენას" შლიან და სიტყვა „რუტინიშ" სწერავენ. გასამართლებლად ამ საქციელისა ის მოჰყავთ, რომ რუსულ ენაზე ავსტრიის იმპერიაში მოლაპარაკეთ არც ერთი არ ითვლებაო.

**მიწის ძვრა**

**პრჟევალსკი.** 22 დეკემბერს დილის $4^1/_2$ საათზე მიწის ძვრა იყო, მაგრამ დიდი ზიანი ქალაქისათვის არ მიუყენებია. მიწის ძვრის შედეგი უფრო საგრძნობელი ისსიკ-კულის ჩრდილოეთის მხარეს მდებარე სოფლებისათვის იყო: საზონოვი, ალექსეევკა, როლბაუმი, მიხაილოვსკი და „სტანიცა" ნიკოლაევსკი, ამ სოფლებში შენობები თითქმის სულ დაიქცა, 50 კაცი იმსხვერპლა და შინაური პირუტყვი ნანგრევებში დაიღუპა. ტელეგრაფის მავთულები ბევრს ალაგას გაწყდა. დახმარების აღმოსაჩენად კომიტეტი შესდგა.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** სხდომები, რუსეთის ექსპერიმენტალურ პედაგოგიკის კრებისა, დიდი საზოგადოების თანადასწრებით ჰხდება. კრების თავმჯდომარემ დღეს, დილის სხდომაზე, განაცხადა, რომ სახალხო განათლების სამინისტროს მოურავჰა კეთილი მუშაობა გვისურვა და 1000 მან. გადმოგვცა კრების საჭიროების მოსახმარებლად. თავმჯდომარის წინადადებით დამსწრე საზოგადოებამ ტოლსტოის ხსოვნის ფეხზე ადგომით პატივი სცა.

**პეტერბურგი.** აკადემიკ კოტლიაროვსკიმ სამეცნიერო აკადემიის საზეიმო სხდომაზე ტოლსტოის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. უავგუსტოეს თავმჯდომარის წინადადებით ტოლსტოის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

**სამარა.** ქ. საბჭომ დაადგინა, რომ პოლიტეხნიკუმის შენობის ასაგები ხარჯები ქალაქმა იკისროს.

**გომელი.** საერობო კრებამ დაადგინა, რომ სახალხო სკოლები თავის გამგებლობაში მიიღოს და 1911 წლის განმავლობაში სამი ერთ-კლასიანი და 13 ორ-კლასიანი სკოლები გახსნას.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა 500 მანეთით დააჯარიმა გაზეთ „გროზის" რედაქტორი.

ცნობილი კრიტიკოსი სკაბიჩევსკი გარდაიცვალა.

**მოსკოვი.** ყრუ-მუნჯთა აღზრდის კრებამ სასურველად სცნო, რომ სახელმწიფო სკოლები ყრუ-მუნჯთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდეს. კრებავე სცნობს სასარგებლოდ, რომ ამ გვარ სკოლებში მოსწავლეები შიგვე იყვნენ დაბინავებული და სკოლების სწავლის გეგმა-კი პროფესიონალურ განათლების მიცემას უნდა სცდილობდესო.

კონსერვატორიის პროფესორი იაროშევსკი გარდაიცვალა.

სოციალ-დემოკრატიულ კრებაზე დამცველ განყოფილების აგენტებმა ექვს წევრს მოუსწრო და დაატუსაღა.

**ჰელსინგფორსი.** ჯერ-ჯერობით ხმები ამოუვიდათ: სოციალ დემოკრატებს 315,432; ძველ-ფინებს—172,846; ახალგაზრდა ფინებს—114,532; შვედებს—106.289; აგრარიებს—61,614; ქრისტიან მუშებს—17,545.

უექველში არჩეულ იქნებიან: დანიელსონი, კალმარი, კასტრენი, ირიფო და სკინი.

სენატი პროკურორს შეეკითხა, მესტამბეებს პასუხის-გებაში რად არ მისცემთო? როდესაც მესტამბეები დაბეჭდილ გამოცემის ორ-ორ ცალს ვალდებულობისამებრ არ აძლევენ სადაც ჯერ არსო. ბრალმდებლის მოადგილემ სენატის მოთხოვნა კანონიერად არა სცნო, რადგანაც წინასწარ ცენზურის გაუქმების შემდეგ მესტამბეებიც ამგვარ ვალდებულობიდან განთავისუფლებულ იქნენო.

**შ ა ვ ი ჭ ი რ ი**

**ასტრახანი.** 27 დეკემბერს აკჩაღილში შავი ჭირით ერთი მოკვდა, 2 ავადაა და გახიზნულთა შორის კი 6 სულია ავად.

ბისკიზში 26 დეკემბერს შავი ჭირით ერთი მოკვდა, კოსაში 27 დეკემბერს 2 მოკვდა.

**პეტერბურგი.** მანჯურიიდან რომ ბაიკალის მხარეში შავი ჭირი არ იქ ეს შეტანილი, ამიტომ ხუთი დღიანი კარანტინი დააწესეს და ამასთანავე გადასწყვიტეს რომ ჩინელ მგზავრების ტანთსაცმელს და ბარგს დეზინფექცია გაუკეთონ.

**ხ ვ ა ლ ი ნ დ ე ლ ნ ო მ ე რ ს**

**ჩვეულებრივ სურათებიან დამატების გარდა, გაზეთის ოდენა**

## ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

დამატება ექნება, ესე იგი გაზეთი 8 გვერდს შეიცავს.

ჩვეულებრივ დამატების შინაარსი: ლექსები: შანშიაშვილისა, სვანეთელისა, ბაბილინასი, კაკნა ფშაველასი, გრიშაშვილისა, მჭედლიშვილისა და მ. გარიყულის ეტიუდი. სურათები: დედას გოზინაყი მოვპაროთ,—ნახატი ვუნიშისა, დედა,—სურ. სილარიოსი, განთიადი,—ქანდ. ბანზოსი, რუსების ექსპრომპ. ინგლისში,—კარრიკატურა. მეცნიერთა ბრძოლა...

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

**ქუთაის ქალაქის მოურავი.** ამას წინად ქუთაისის ქალაქის მოურავად არჩეული იაკობ ფანცხავა კავკასიის ნამესტნიკმა ამ თანამდებობაზე არ დაამტკიცა.

**სამძიმრის დეპეშა.** სამტრედიიდან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „მწუხარებით შეპყრობილნი დიდად ვგლოვობთ დაკარგვას გამოჩენილ საზოგადო მოღვაწისა, მხცოვან მწერლის და ღირსეულ მოძღვრის დეკანოზ დავით ღამბაშიძისას. პატივისმცემელთა მონდობილებით ვარდენ ყიფიანი".

**საოპერო წარმოდგენა მიშელ დარიალის (ნანობაშვილის) მონაწილეობით.** ჩვენი თანამემამულე ახალგაზრდა მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი, რომელიც ევროპის სცენებზე მიშელ დარიალის სახელით არის ცნობილი და ამ დღეებში საზღვარ-გარეთიდან ტფილისში დაბრუნდა, მიწვეულ იქმნა სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორის ეინხელვალდის მიერ 3 იანვარს ოპერა „ჰუგენოტებში" მონაწილეობის მისაღებად. მომღერალი რაულის პარტიას შეასრულებს.

**ხმოსან აბრამიანის განცხადება.** გუშინ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა აბრამიანმა ქალაქის გამგეობას შემდეგი შინაარსის განცხადება წარუდგინა: 24 დეკემბერს ქალაქის გამგეობის სადგომში სპეციალისტების კრება მოჰხდა იმის გადასაწყვეტად, საჭიროა თუ არა, რომ ქალაქმა ორმაგი იტალიური ბუჰგალტერია შემოიღოს; თუ საჭიროა, მაშინ შესაძლებელია თუ არა შემოღებულ იქმნეს 1911 წლის 1 იანვრიდან. ქალაქის მთავარმა ბუჰგალტერმაც ბ-ნმა დანდუროვმა იტალიურ ბუჰგალტერიის შემოღება სასურველად სცნო, მაგრამ დაუმატა, ისეთი მცირე დრო გვაქვს, რომ 1 იანვარს ვერ მოვასწრობთო. შემდეგ თვითვე გამოტყდა, რომ აქ დროს სიმცირე არაფერ შუაშია, არამედ მიზეზი ის არის, რომ დანდუროვს ორმაგი იტალიურ სისტემისა არა სცოდნია რა. კრებამ მიიღო ეს მხედველობაში და იტალიურ ბუჰგალტერიის შემოღება 1912 წლისთვის გადასდო. ეს საკითხი ფრიად საყურადღებოა; აგერ 15 წელიწადია მის განხილვას უნდება ქალაქის გამგეობა და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის ბუჰგალტერიის საქმე სულ უკან უკან მიდის. ამიტომ გამგეობას ვსთხოვ, ჩემი განცხადება განსახილველად ქალაქის საბჭოს გადასცეს და რაც დასამატებელი მაქვს, იქ ვიტყვი.

**ვერის კატასტროფა.** როგორც მკითხველებმა იციან, 5 იანვარს ვერის დაღმართზე ტრამვაის ვაგონმა № 47 ბევრი ხალხი იმსხვერპლა, ეს საქმე გასარჩევად დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოში 1911 წლის 17 მარტისთვის. სამართალში მიცემულნი არიან: ბელგიის ქვეშევრდომი კ. ი. ბატაილი 48 წლისა, რომელიც მაშინ ტფ. ტრამვაის დირექტორად იყო, საფრანგეთის ქვეშევრდომი რ. კ. იზამბერი, 33 წლისა და ინჟინერი ა. ნ. ალექსანდერი, 49 წლისა. ბრალდებულნი თავდებით არიან განთავისუფლებულნი.

**შუამდგომლობის უყურადღებოდ დატოვება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა ტფილისისა და გროზნის ქალაქის თვითმმართველობათა შუამდგომლობა ამ ქალაქებში საავადმყოფოებზე ქალაქის სასარგებლოდ გადასახადების შემოღების შესახებ.

**„კაპეიკის კავშირი".** 29 დეკემბერს კრება ჰქონდათ ტფილისში არსებულ საზოგადოების „კაპეიკის კავშირი"-ს წევრებს. კრებას სარაიონო მზრუნველებიც დაესწრნენ. კრებაზე გამოირკვა, რომ მთავრობას ნება დაურთავს საზოგადოებისთვის უპატრონო ბავშვთათვის თავშესაფარი გახსნას. თავშესაფარი უკვე გაუხსნიათ ხარფუხში და ამ ჟამად შიგ დაბინავებულია 14 ბავშვი. მოკლე ხანში შესაძლებელი გახდება თავშესაფარში მოთავსებულ იქმნას 30-დე ბავშვი. ოფიციალურად თავშესაფარი გაიხსნება 9 იანვარს და მოწვეულ იქმნება სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები. კრებამ გადასწყვიტა, კურთხევის დღეს თავშესაფარში ბავშვებს შობის ხე გაუმართოს, რომლის მოსაწყობადაც არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია.

**ტრამვაის დირექციის დაჯარიმება.** 11-დან 27 დეკემბრამდე ტფ. ქალაქის სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექცია სულ 12,168 მანეთით დააჯარიმა, რადგან ქალაქში ვაგონების საკმაო რიცხვს არ ამუშავებს.

**ქართულ გიმნაზიასთან არსებულ დედათა სკოლაში.** ამ ჟამად, როგორც მკითხველებმაც იციან, ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებობს დედათა სკოლა, რომელიც ამ ჟამად სამის განყოფილებისაგან შესდგება. სკოლის გამგე ქალთა წრემ გადასწყვიტა, სკოლას ყოველ წლივ თითო კლასი მოუმატოს და შემდეგში სრულ გიმნაზიად გადააკეთოს. ქალთა წრეს ამის თანხმობა უკვე მიუღია თავად-აზნაურობისაგან. მომავალ სამოსწავლო წელს გაიხსნება პირველი კლასი.

**ინჟენერ ფაინის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული ინჟენერი ფაინი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ქალაქთან უკანასკნელ ხანს ტრამვაის დაჯარიმების თაობაზე.

**ვ. გადილიას საქმე.** ამ 6 თვის წინად ტფილისში დააპატიმრეს წიგნის მაღაზიის პატრონი ვასილ გადილია, რომელსაც ამ ჟამად წარდგენილი აქვს ბრალდება სისხლის სამართლის მე-132 მუხლის ძალით. დაპატიმრებულს უფლება აქვს თავდებით გამოვიდეს ციხიდან, თუ ას თუმანს ნაღდს ფულს შეიტანს.

**შემწეობა წყლისგან დაზარალებულთ.** უმაღლესად გადაიდო 10,000 მანეთი თერგის ოლქში წყლისგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

**მშრომელ ქალთა კლუბი.** კავკასიის ქალთა საზოგადოებამ გადასწყვიტა, დაარსოს ტფილისში მშრომელ ქალთა კლუბი. კლუბის წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

**წესდების დამტკიცება.** დამტკიცებულ იქმნა წესდება სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

**სადამო-მეჯლისი.** ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში, კავკასიის სომეხ მასწავლებელთა კავშირის სასარგებლოდ წარმოდგენა-მეჯლისი გაიმართა, რომელმაც საერთოდ საინტერესოდ ჩაიარა. წარმოდგენა-მეჯლისს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

**„და-ძმა".** 3 იანვარს სახალხო სახლში წარმოდგენილ იქმნება ვ. გუნიას პიესა „და-ძმა".

**29 დეკემბერს ტფილისში დააპატიმრეს ტფ. მცხოვრები ერვანდ არუთინოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.**

**29 დეკემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 33 უპასპორტო.**

# ჩვენებური იუბილე

ყველა კულტურულ ქვეყანაში დამსახურებულ საზოგადო მოღვაწის პატივსაცემად იუბილეს გადახდაა შემოღებული.

ამ მხრივ, თუმცა დიდის კულტუროსნობით თავს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ წამბაძველობის ნიჭი და უნარი კი უტყუარად მოგვდევს.

ესეც სანუგეშოა, რადგან წამბაძველობა პირველი ნაბიჯია არსებითის საქმიანობისა.

ვერ ვიტყვით, რომ ღირსეულად არ არჩევდეს საზოგადოება საიუბილეო მოღვაწეთ.

პირიქით, ჩვენს მცირე საზოგადო სარბიელზე იმდენი დამსახურებული მოღვაწეა, რომ ყველას სამადლობელის გადახდა ერთბაშად ვერ მოგვისწრია.

ხოლო, თუ რომელიმე საზოგადოებრივი ნაბიჯი აშკარა და ასაწონ-ასაწონად ყველასთვის ხელმისაწდომია, თუ რომელიმე საზოგადოებრივი შეფასება მთელის ერის თვალწინ ნათლად იშლება, ეს—დამსახურებულ მოღვაწის იუბილეს გადახდაა.

იუბილე საჭირო და სასარგებლოა არა მარტო იუბილე არის ზნეობრივ მადლობის გარდასახდელად, არა მარტო ნივთიერის ხელშეწყობისათვის არა!.. მხოლოდ ეს რომ იყოს, ჩვენ გადაჭრით მოწინააღმდეგენი ვიქნებოდით ასეთ ცერემონიებისა, ვინაიდან ყოველი საზოგადო მოღვაწე თავისის რწმენისა და მოვალეობის შეგნებისამებრ საქმიანობს და მადლობის გადახდა მხოლოდ შეჰბღალავდა და დაამცირებდა მის პირადს „მე"-ს მის გულ-

---

## შენს თვალებს

გუძღვნი თავ. ზ—მის ასულს)

შენს ჩაფიქრებულს, შავსა თვალებსა
ვუმზერ სიამით, სპეტაკ ვნებითა:
ღამისა ბინდი და შუქი დღისა
შიგ ჩაბეჭდილა სრულ შვენებითა.

ხან შემოდგომის სუსხით, სიმკაცრით
დასცქერს ქვეყანას, არღვევს დუმილსა...
ხან ელვიზნება შორის ოცნებით
და ხან კი მშვიდად ეძლევა ძილსა...

მაგ თვალებისთვის მზად ვარ ვიტანჯო,
მთელი სიცოცხლე შევსწირო მსხვერპლად,
ოღონდ კი ოდნავ მივუახლოვდე
და ჰიმნი შევქმნა მის სადიდებლად.

გულის სიმებმა გლოვით, ქვითინით
შეამკეს შენი ნაზი ხატება...
და ახლა მხოლოდ გემუდარები,
მიიძღვნა ჩემგან ეს ქებათ-ქება.

Artemius.

## წერილი საფრანგეთიდან

**ძეგლის კურთხევა**

**1870—71 წლებში გერმანიასთან ომში დაზოცილ ქ. ტულუზისა და გარონის დეპარტამენტის შვილთა სადიდებლათ.**

(დღიურიდან)

1870 წელი!..

ეს ის წელია, შავი და წყეული, როდესაც პრუსიის ხმალმა საფრანგეთის ეროვნულ სხეულს ჩამოსჭრა ელზასი და ლორენი!

იტანჯვის დედა-სხეული თავის ბუნებრივი ნაწილებს მოკლებული. სულთმობრძაოებენ ულმობლოთ ჩამონაჭრი ნაწილები, უდედა-სხეულოთ, მოკლებულნი წვენსა მაცოცხლებელს მშობელი დედისას.

ორმოცი წლის ჭრილობას პირი ვერ შეუკრავს!

წინააღმდეგ!

მტრისგან შიგ ჩაწოვებული ჟანგიანი ხანჯალი ამიზეზებს, ჭრილობას აჩირქებს მის ნაპირებს და მის ურთიერთისადმი ტრფობით გატაცებული მშობლიური ნაწილები ერთის მთელისა ერთმანეთისკენ წაიწევიან რომ, ზღვა-გრძნობა ამბორით ჩაეხუტონ ერთმანეთს, კვლავ გაერთსხეულდენ, გაერთხორცდენ,— ეს ჩატოვებული ხანჯალი, ჟანგიანი ორივე პირზე, უფრო მწარედ ესობა მათ და ღრმად შიგა და შიგ უვლის!

ორმოცი წლის ჭრილობას პირი ვერ შეუკრავს!

ამ შავი დღის ყოველ წლის თავზე, როდესაც დედა-საფრანგეთი თავდავიწყებით მინებდება ღრმა მშობლიური გრძნობის ტალღებს და ინსტინქტიურად ხელს წაუპოტინებს თვის ღვიძლ შვილს, ხოლო როდესაც, მეორეს მხრით, ელზას-ლორენი განამწარები ბრჭყალებიან კაპას დედინაცვლის ხელში, ინსტინქტიურადვე მისკენ გაექანება რომ გეროვნას თავი აღწიოს, დაიბრუნოს დაკარგული ედემი ღვიძლ-შვილობისა დედის მკერდზე მიხუტებით, —ჟანგიანი ხანჯალი, ღვარძლით გადებული ჭრილობის ნაპირებ შორის, მტკივნეულათ ერჭობა მათ და ორნივე გამოჰყავს თავ-დავიწყებიდან და... სინამდვილის მომშხამელს სურათს უყენებს თვალ წინ! ეჰაა, ხოლო სინამდვილე ესე მწარეა მათთვის: ელზას-ლორენელთა გულის ფიცარზე დაჭედილი ჩექმებით ბუქნას თამაშობს გამარჯვებული შურმანი!

საუკუნოებით ჩაქსოვილ მშობლიურ ჰანგსა, საუკუნეებით შეტკბობილ დედა-ენას მარწუხებით დასტრიალებენ!

უდიერად უმსხვრევენ მათ სალოცავ ხატებს, უდიერადვე შეურაცხებენ მათ წმიდანებს! ტაძრებს უხშობენ...

ფრანგში ფრანგობა ჰსურთ ჩაჰკლან! ახ! ყოველივე ეს მწარედ, ლახვარივით სწვდება მშობელ დედის ალტკინებულ გულს, მაგრამ...

დიახ! სინამდვილე მწარეა მათთვის: ჟანგიანი ხანჯალი გარჭობილია სხეულში, ელზას-ლორენი ჩამოჭრილი, ეროვნული სხეულის მთლიანობა დაზიანებული! დარღვეულია ეკილიბრი სამართალი მიძინებული!..

როდემდის ივლი ამ გზით სინიდისს დამძიმებულო კაცობრიობავ, როდემდის?!

მაღალ ციდან უმანკოთა ნიაღვარისებურმა სისხლის წვიმებმა უნდა გასხას, დაბლა ქვეყნად გადმხალისებელმა ალის გრიგალმა უნდა დაგბეროს, რომ შენ დაცემულო, განიბანო იმ ათას ბოროტებისაგან, რომლითაც, საუკუნეთა სვლაში, გიმახინჯებია შენი საკუთარი სახე, გიმრუდებია შენი პიროვნება!!

შენი ამაღლება, შენი გაკეთილშობილება, გაკაცობრიოება შენს, ჩაგრულთა გათვითცნობიერებული, აზვირთებულ სინიდისის ხელში-დაა!..

გათვითცნობიერებული სინიდისი!!

ამ გათვითცნობიერებულმა სინიდისმა შეჰყარა დღეს წმიდა მიხეილის ხევნარში ამდენი აუარებელი ხალხი; ამავე გათვითცნობიერებულმა სინიდისმა უკარნახა შვიდ-რვაცხრა წლის პაწია ბავშთა გუნდთ გვერდშ ამოჰდგომოდნენ ბაბუა-ვეტერანებს, თვისად მიეჩნიათ ამ უკანასკნელთა მოუშუშებელი მწვავე ჭრილობანი ბედშავ ომის დროს მიღებულნი და ეს უკვდავი გათვითცნობიერებული სინიდისია, თაობიდან თაობაზე რომ გადადის და მომავალს წარსულთან აკავშირებს. ამავე სინიდისის შენამოქმედია ძეგლი ესე ბუმბერაზი შავად შესუდრული, მგლოვიარე, ძაძებში გახვეული!

ამავე შეგნებული სინიდისის მეუფებას მთელი ეს აუარებელი ხალხი ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი საფლავისებურ სიჩუმეში ჩაუყუდებია, რადგან, ოჰ მხოლოდ სიჩუმესა ღრმასა შინა შესაძლოა გულის ხმადლება, შეთვისება მწარე ტკივილთა და ადამიანის სულის ლტოლვათა!

აჩრდილი, მამულისათვის ბრძოლაში, დახოცილთა უდგას წინ გათვითცნობიერებულ, სიჩუმეში ჩაძირულ, სინიდისს! ჩამოჩეხილი ელზას-ლორენის ხატება მის თვალწინ ტანს იხამს!..

ამ მწუხარ და ღრმა დუმილში გავარდა ზარბაზანი და შავი ძაძასუდარა ელვასავით მოსწყდა, ძირს დაეშვა.

ტიტვლად გამოჩნდა გათვითცნობიერებული სინიდისი-ქანდაკება: ფრანგ დედას ბრძოლაში მოკლული ერთი ვაჟი მარცხენა მკერდზე მიუხუტებია, ხოლო მეორე—ლომი, შუბით ხელში, მტრის განსაგმირად მიეშურება; ფრანგი-დედა ყელმოღერებით მაღლა გასცქერის, საიდანაც ასული მშვენიერი სიმბოლო თავისუფლებისა, მას თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლას შთანაგონებს.

ღრმა დუმილში უმზერს ხალხი ამ კოლექტიურ სინიდის-ქანდაკებას.

მუსიკა სამგლოვიარო ჰიმნს მოსთქვამს.

ფრანგი-დედა იტყვის სამგლოვიარო საგალობელს...

ხარბად გავცქერ ზღვად გადმოსულ გათვითცნობიერებულ სინიდისს!

მიტაცებს, სიხარულით მავსებს მისი ტალღების უცხრომი ფუსფუსი... ჰე რად დაგიმალო, ძმაო მკითხველო, გულ ახდით გეტყვი, რომ ყოველივე ეს შურს ჰბადებს ჩემში, იმიტომ რომ.... მაგრამ ეს რათ მოიბრუნა ასე უცებ ჩემსკენ პირი მთელმა ამ ცოცხალმა კოლექტიურმა სინიდისმა, რად მიცქერს იგი ასეთის შებრალებით, რა ვირი მოვპარე მას?!..

ღრმა დუმილში, ნიშნის მოგებით ხმა მყო მან: „ღირსი არა ხარ აქ დასწრების სინიდის-მიძინებულ ერის შვილო!"

—დედა-მიწავ, შთამნთქე, მარჩინე სირცხვილს!—მაგრამ დედა-მიწა პირს არ აღებდა და შეჩვენებული ვიდექ ვიდრე სათითაოთ არ ჩამიარა თითეულმა ცოცხალმა გავითცნობიერებულმა სინიდისმა და შენდამი, სინიდის-მიძინებულო მშობელო ერო სამღურავი არ დამაბარა.!! —ია.

წრფელ, უანგარო თავგამოდების შრომას.

იუბილე, უკმაურესად, თვით ხალხის წასახალისებლად და ერთის მოვლენის გარსე შემოსაკლებლადაა საჭირო.

ამისთვის, ჩვენ საზოგადოებრივ ალღოიანობისა და ერთსულობის შესაქმნელად, მოვალენი ვართ ყოველი საპატიო და სათანადო საბაბი გამოვიყენოთ.

ამგზით ორგვარს საქმეს შევასრულებთ: დამსახურებულ მოღვაწისადმი გულწრფელ სიყვარულის განცხადებას და საზოგადოების ერთის აზრის გარშემო შემოჯგუფებას.

ჩვენში, ღვთის მადლით, ბევრია ისეთი მოღვაწე, რომელთაც ღირსეულად დაუმსახურებიათ ასეთი საზოგადოებრივი დღესასწაულის გადახდა.

მსახიობთა შორის, მაგალითად, ბ-ნი კოტე ყიფიანი, რომელიც 40 წლამდე განუშორებლად ემსახურა სამშობლოს სცენას.

გვიკვირს კიდეც, რომ დღემდე მას იუბილე არ გადაუხადეს.

ხმები დადის, ვითომც თვითონ ყიფიანს არა ჰსურდეს იუბილეს გადახდა.

ასეც რომ იყოს, პატივსაცემ პიროვნებას ვინ ეკითხება ნებართვას, თუ კი საზოგადოებრივი სურვილი მას მოიწადინებს!

ავიღოთ მეორე მაგალითიც, მსახიობში ქალი ქ-ნი მარ. საფაროვაბაშიძისა, რომელიც ჩვენის სცენის თვალი იყო, სანამ ფიზიკური პირობები ხელს უწყობდა, ხოლო დღეს სხვა სახით ემსახურება ჩვენი სცენის საქმეს და მისი დარბაზი უფრო საკუთარ ოჯახად მიაჩნია, ვიდრე საკუთარი ბინა.

— ალბად ჩემს სიკვდილს თუ ელიანო!— იოხუნჯა ერთხელ ღრმად პატივცემულმა მსახიობმა.

ნუ თუ მართლა, ამას ველით?!

იმედია, ვისიც ჯერ არს, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ სიცილით ნათქვამ სიმწარეს.

**მენავე.**

## ექიმ ალამალოვის მოკვლა

როგორც მკითხველებმა იციან, 1910 წ. 14 ივლისს ტფილისში მოჰკლეს ცნობილი ექიმი ეფრემ ბოგდანის ძე ალამალოვი.

ამ დღეს, შუადღისას, ექიმი სახლიდან წაიყვანა ახალგაზრდა კაცმა მოსკოვის ქუჩაზე № 9 სახლში ვითომ ავადმყოფის გასასინჯად. ამის შემდეგ ექიმი სახლში აღარ დაბრუნდა. ამიტომ ცოლმა ვიქტორია დავითის ასულმა ალამალოვისამ ექიმის დაგვიანების ამბავი პოლიციას აცნობა.

მაძებარ პოლიციის უფროსი ა. ი. გაგიევი პოლიციელთა თანხლებით საჩქაროდ გაემგზავრა ხსენებულ ბინაზე, მაგრამ ოთახის კარები დაკეტილი დახვდა. სახლის პატრონისგან გაიგო, რომ ორი ოთახი იქ დღეს დაიქირეს ახალგაზრდა კაცმა და ქალმა და თავი ცოლ-ქმარ მარტიროზოვებად აღიარეს.

მაძებარ პოლიციის უფროსმა სახლის კარები გასტეხა და ოთახში შევიდა. იქ საზარელი სურათი იყო. იატაკზე ეგდო ექიმის გვამი, თავმოჭრილი. მოჭრილი თავი იდო თავ-ახდილ კალათაში, რომელსაც შიგნით თუნუქი ეკრა. იატაკზე იყო კიდევ ორი ხანჯალი, ქარქაშები, რევოლვერი და ბეჭედი წარწერით: „ნამდვილ რევოლუციონერთა საზოგადოების კავშირი. კავშირთა მეთაური № 87. შ. ბ. არტურ, 13—7—1910 წ.“

ექიმს 18 ჭრილობა აღმოაჩნდა. თავში ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

პოლიციამ გამოარკვია, რომ ეს მდგმურები იყვნენ: არშაკ სარქისის ძე მარტიროზოვი (ფერშალი) და მისი მეუღლე თამარა გალუსტის ასული მარტიროზოვისა. ორთავეს დედ-მამა ცოცხალია. პოლიციამ გაჩხრიკა ველინის ქუჩაზე არშაკ მარტიროზოვის მამის ბინა და ცოლ-ქმარის არშაკ და თამარას ფოტოგრაფიული სურათი წაიღო.

პოლიციამ აგრეთვე გამოარკვია, რომ ცოლ-ქმარნი ტფილისის მახლობლად მდებარე სოფელს თელეთში გაიქცნენ, სადაც ქართველნი და სომეხნი სალოცავად ხშირად დადიან. ამიტომ თელეთს დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ პოლიცმეისტრის თანაშემწე კაპიტანი სტროევი, მაძებარ პოლიციის უფროსი ა. ი. გაგიევი და ბოქაული პ. ი. მიქაბერიძე.

15 ივლისს, საღამოს 8 საათზე, თელეთის ეკლესიაში შეიპყრეს ცოლქმარი და ჩამოართვეს თეთრეული, რომელსაც სისხლის წვეთები ეტყობოდა.

ცოლქმარმა მკვლელობის ჩადენა გადაჭრით უარჰყო. არშაკ მარტიროზოვის მამამ გამომძიებელს ასეთი ჩვენება მისცა: არშაკმა და თამარამ ჯვარი დაიწერეს 1910 წლის იანვარში. არშაკმა მზითვად მიიღო 3.000-მანეთი და მაშინვე მოსკოვს წავიდა ცოლით, სადაც 4 თვეს იცხოვრა. მისში ტფილისში დასაბრუნებლად ცოლქმარს გზის ფულიც აღარ ჰქონდაო.

მოსკოვის გაზეთებში მკვლელობის შემდეგ დაწვრილებით იყო დაბეჭდილი ცოლქმარის მოსკოვში ცხოვრების ამბავი. სხვათა შორის, აღნიშნული იყო, ქმარი ცოლის სხეულით ვაჭრობდა და ხშირად აწამებდაო.

ბოლოს გამომძიებელს არშაკა გამოუტყდა და ასეთი ჩვენება მისცა: ცოლი თამარა გამომიტყდა, ექიმმა ალამალოვმა გათხოვებამდე ნამუსი ახადაო და ამის გამო ალამალოვი ექიმ ტერ-აბრამოვის შემწეობით მოვკალით.

თამარა მარტიროზოვისამაც პირველად ასე აჩვენა, მაგრამ ჩქარა ჩვენება შესცვალა და შემდეგი სთქვა:

მე ქალწული გავთხოვდი. ექიმი ალამალოვი არასოდეს არ მინახავს, ჩემმა ქმარმა ექიმი გაძარცვის განზრახვით მოჰკლა. როდესაც მოსკოვის ქუჩაზე მოვედით, ქმარმა მითხრა, ერთი კაცი უნდა მოვკლა და გაჩუმდიო. ჯერ ექიმი ადამიანცი მოიყვანა, მაგრამ მოკვლა ვერ მოახერხა, შემდეგ ექიმ კასპარიანცთან წავიდა დასაძახებლად, როგორც თვითონ სთქვა, მაგრამ სახლში არ დახვდა. შემდეგ ალამალოვი მოიყვანა და როდესაც უკანასკნელი რეცეპტს სწერდა, ჩემმა ქმარმა რევოლვერი თავში დაარტყა და შემდეგ ხანჯლით დაუწყო დაკუწვა. მე მეორე ოთახში გავარდი, ტანისამოსი ჩავიცვი და ჩქარა ორთავენი თელეთს გავიქეცით, სადაც დაგვიჭირეს. მოსკოვში ყოფნის დროს ქმრის მოთხოვნით ჩემს სხეულს ვყიდდი უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში და ფულს ქმარს ვაძლევდი.

ოფიციალური ცნობებით გამოირკვა, რომ კავკასიაში ექიმი ტერ-აბრამოვი არავინ არის. არის მხოლოდ ერთი ექიმი ტერ-აბრამოვი ველიუნში კალიშის გუბერნიაში.

ზემოხსენებულ საბუთების ძალით, ცოლ-ქმარნი სამართალში მისცეს.

საქმის გარჩევა კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოში 29 დეკემბერს დილით დაიწყო და საღამომდე გასტანა. მოწმედ ორმოცამდე კაცი იყო დაბარებული. არშაკ მარტიროზოვს იცავდა ნაფიცი ვექილი ს. ა. ბარათაშვილი, თამარას — ა. ი. ყანჩელი.

სასამართლომ ნაშუადღევის სამ საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც არშაკ მარტიროზოვს მიუსაჯა ჩამოხრჩობა, ხოლო თამარა მარტიროზოვისას ოცი წლის კატორღა. ამ უკანასკნელის შესახებ სასამართლომ ამასთანავე დაადგინა იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რათა მას სასჯელი შეუმსუბუქონ.

## კოტე მესხის

**საიუბილეო შემოწირულებანი:**

ტფ. თავად-აზნაურთა საკრებულოდან 300 მ., ტფ. თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობისაგან 100 მან. სოხუმის ქართველთაგან 100 მ. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისაგან 100 მ. ა. ი. მანტაშოვისაგან 500 მ. თ. გრ. ას. არღუთინსკი-დოლგორუკისაგან 30 მ. დ. ლ. ხარაზოვისაგან 25 მ. კნ. ბ. ბარათაშვილისაგან 15 მან. ი. ს. გოგებაშვილისაგან 10 მ. გ. ი. სერებრიაკოვისაგან 10 მ. ი. ჭყონიასგან შეკრებილი 25 მ. სვ. ახმეტელაშვილისაგან 3 მ. ბ. ჭყონიასაგან კავკავიდან 10 მ. აკ. ლორთქიფანიძისაგან 3 მ. ტელეგრაფით 37 მ. ფილ. ბაქრაძისაგან 1 მ. 50 კ. დავ. სვ. ბაქრაძისაგან 3 მ. ვლად. ზავარდნაძისაგან 5 მ. ვლ. სვ. აბაშიძისაგან 3 მ. დ. გ. ართმელაძისაგან 3 მ. ვ. ვ. ხოშტარიასაგან 5 მ. სოლ. კუტელიასაგან 3 მ. განჯის ქართველებისაგან 60 მ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა.

## ხმა ონიდან

ოთხის წლის წინედ სანდრო წიკვაძე და დავით კერესელიძე თავგამოდებით გვარწმუნებდნენ დაბა ონი უნდა მოსადათ გადავკეთოთ. ამისთანაზე მესაფერი შუამდგომლობაც აღძრა მთავრობის წინაშე. ესენი, როგორც ამ საქმის მოთავეები გვიმტკიცებდნენ, ამ საქმეს მხოლოდ ონის გეგმა და სპქირდება, რაზედაც 600 მანეთზე მეტი არ დაგვეხარჯებაო.

ჩვენ დავეთანხმეთ, განაჩენი დავადგინეთ ფულის გადახდის შესახებ და გუგდეთ ქუთაისიდან მიწის მზომელი ბ-ნი მიხაილოვი დავაბარეთ.

ბ-ნმა მიხაილოვმა დაზომა ონის ადგილები და გეგმა აიღო, 600 მანეთის მაგიერ 2000 მანეთი გადავახდევინა. თუმცა 2000 მანეთის გადახდა ერთბაშად მეტს ონელებისათვის სამძიმო იყო, მაგრამ რადგან ვიზამდით, რაკი ერთხელვე შევუდექით, საქმე უნდა დაგვებოლოვებინა.

მას აქეთ ამ საქმეზე კრინტიც კი აღარავის დაუძრავს, წიკვაძემ უმთავრესი ყურადღება თავის გამოუსადეგარ რიგებს მიაქცია, მიწის მზომელს ეს ადგილი დაავეგმინა ქუჩა გაიყვანა, ამისათვის-კი შიდილაის დახმარებით ბევრი ებრაელი აჭყარა და სამიკიტნოები შუაშუა დაუშვა, კერესელიძემ ბაზრის დეპუტატობა იშოვნა, მიჩუმდა და ეხლა გაიძახის: „ონის მოსადად გადაკეთება, ჩვენთვის საზარალოა, ხარჯები მოგვემატებაო“.

თუ აქამდის არ იყო ონელებისათვის საზარალო მოსადად რომ გადაკეთებულიყო დღეს რადა დაემართა?!

ეხლა გეკითხებით:

1) რა მიზეზით შეჩერდა ონის მოსადად გადაკეთების საქმე და სად ინახება ის თავმოყრილი და დაკრეფილი მასალა, რომელიც იყო შემუშავებული ამის თაობაზე?

2) რატომ არ გაასწორებენ ქუჩებს სადაც საჭიროა და რატომ ყურადღებას არ აქცევენ სიონის ვიწრო ქუჩას, რომელიც დღეს ფეხის ადგილათ არის გადაქცეული და ყველაზე დიდი მისვლა მოსვლა კი იმაზეა, რადგან ის შიგ შუაგულ ბაზარშია და საყდრის გვერდით?

3) რათ ახდევინებენ ბაჟს სოფლის ნაწარმოებზე და სანოვაგეზე ბაზრის სასარგებლოდ?

ხომ იყო ბ. ქუთაისის გუბერნატორის ცირკულიარი 31 ივლისიდამ ამ წლისა № 7986, სადაც ის უკრძალავს უფლებოდ გადასახადს ბაზრის სასარგებლოდ სანოვაგეზე?

**საკაველი.**

## წერილი გურიიდან

ნეტავი როდის იქნება ის ბედნიერი დრო, რომ გურულ გლეხს იოტის ოდენა მოსვენება ეღირსოს; ათასგვარ დამცირება-თრევასა და უთვალავ გაჭირვებას ცოტათი მაინც თავი დააღწიოს. ამ ხუთი წლის განმავლობაში კალმით აუწერელია გურული გლეხკაცობის ტანჯვა-წამება. ცემა ტყება აწიოკება, ყოველდღე გადასახადები და გადასახადებში უკანასკნელი ქვეშაგების გაზიდვა ცის-ქვეშ წვიმიან ღამეებში მთელი საზოგადოებების კანცელარიის ეზოში დატუსაღება, რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს კაცმა.

მერე რად ემართება ყველა ეს გურულებს?—„იმიტომ რომ გურია ჯერ კიდევ არ დამშვიდდა“—აი ზოგიერთების აზრი გურულებზე. მერე ეს მართალია? მართლა გურიას დღეს კიდევ „ბუნტის“ თავი აქვს?!

რომ არავითარი ამის მზგავსი დღეს გურიაში არ ხდება, ამაში, მგონია, მთავრობაცაა დარწმუნებული.

მართალია, კერძო ინტერესით მკვლელობა ამა თუ იმ მამასახლისის, ან რომელიმე კერძო პირისა აქა-იქ ხდება მაგრამ აქ საერთოთ გურია რა შუაშია?!

ვილაცამ ამ დღეებში ღამით მოჰკლა გზაში მიმავალი თედორაძე. მოკლულის გვამი სანახევროდ ლორებს შეეჭამათ, ამის გამო მთელი ერკეთის საზოგადოება დაიბარეს და მკვლელის აღმოჩენა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საშინელი სასჯელი მოელის.

ღამით გზაში კაცი მოჰკლეს, რა დამნაშავეა აქ მთელი საზოგადოება და მით უმეტეს—საერთოდ გურია?!

რომ საზოგადოება კერძოდ და მით უმეტეს გურია საერთოდ ავაზაკებს არ ინახავს და მათი ხელის შემწყობი არ არის, ამის სანიმუშოდ უთვალავი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ამ უკანასკნელად მომხდარ ამბავს მოვიყვან, რომელიც თავ-სურებში 19 დეკემბერს მოხდა:

ღამის ორ საათზე, ადგილობრივ ვაჭრის ს. პ. რამიშვილის 15—16 წლის ნოქარს მოტყუებით გაალებინეს დუქნის კარი, შიგ ოთხი ბოროტ გამზრახველი შევიდა და ბავშვს ფულები მოსთხოვეს. როცა უარი მიიღეს, ბავშვს ხანჯლის წვერებით დაუწყეს ჩხვლეტა.

ფულის ნახვის შემდეგ (სულ ორას მანეთამდე ყოფილიყო) ერთმა ბოროტ-გამზრახველმა ბავშვს თავი გადაუწია, თურმე, მეორემ—ყელში დანა გამოუსვა და ლორივით დაჰკლა.

ავაზაკები უგზო-უკვლოდ მიიმალნენ, მაგრამ ხალხმა მეორე დღეს ყველაფერი გაიგო და მანამ პოლიცია მოვიდოდა, თორმეტი შემჩნეული პირი დაატუსაღა. როდესაც ერთი იმათგანი გამოტყდა და ნამდვილი ბოროტ-მოქმედი დაასახელა, ხუთის მეტი, ყველანი გაანთავისუფლეს. ამ საზიზღრობის ჩამდენი აღმოჩნდნენ: სანიკიძე, ორი ბარამიძენი, აზიეშვილი და კალანდაძე. ხალხს მათი ჩაქოლვა უნდოდა, მაგრამ დარაჯებს გადაერჩინათ. ერთს მათგანს, ყელის გამოჭრელს ეზიეშვილს ისე სცემა ხალხმა, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს.

მე მგონია, ეს ფაქტი ნათლად უნდა მოწმობდეს იმას, რომ საერთოდ გურული ხალხი ავაზაკებს არ ინახავს და თუ რამდენიმე პირი ხელს უწყობს მათ ამისათვის მთელი გურიის წელში გაწყვეტილი ხალხი არ უნდა დაიტანჯოს.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ დღეს მტყუანს და მართალს გარჩევა არ აქვს.

მაგრამ ეს ტანჯვა არ აკმარეს გურიას და მათთვის კიდევ ერთი უარესი სატანჯველი გამოიგონეს.

დღეს ღამ-ღამობით ყარაულობაცაა ჩვენში დაწესებული. ათ-ათი კაცი ჰყარაულობს სადგურ ნატანებიდან ვიდრე სადგურ საჯავახომდე, ოზურგეთ-ნაგომარ-ჩოხატაურის გზით. ყარაულობა მორიგეობითაა ყოველ ხუთ-ხუთ ვერსის მანძილზე, როგორც ამ უმთავრეს გზაზე, ისე სოფლის კანცელარიასთან.

გუბერნატორის ეს განკარგულება გამოაცხადა მაზრის უფროსმა 23 დეკემბერს დ. ჩოხატაურში, სადაც მთელი საბოქაულო იყო მოწვეული.

რას მოგვიტანს ახალი წელი?..

**ლ.**

## გორის ამბავი

საკვირველი ქალაქია ეს ჩვენი გორი. შუაგულ ქართლში სძევს, დედაქალაქია ქართლისა, ნაქებია პოეტთაგან, და ამდენად ღირსშესანიშნავ ქალაქიდან არაფერი არა იწერება-რა გაზეთებში, თითქო ყველაფერი რიგსა და წესზე იყოს. იქნება მართლა შესანიშნავი არა ხდებოდეს—რა?!— იქნება! ან კი რა იქნება შესანიშნავი? ვაჭრები არშინსა და სასწორს შესჩერებიან, ხელოსნები ხელჩოს, ქაფჩას და მაკრატელს, გლეხები ბარსა და ცულსა. ინტელიგენცია ოცსა და ბანქოს.

განათლებით გორი ძალიან წინ მიდის. ორი გიმნაზია გვაქვს ქალებისა და ვაჟებისა, ერთი სასტატო სემინარია, ერთი სამოქალაქო, ერთი სასულიერო, სამი სამრეცხლო სკოლა: ოქონისა, სობოროსი და სამებისა, ერთიც სომხებისა. აქედან დიდძალი ხალხი გამოდის ნასწავლი, თანაც ეს სკოლები დიდძალ ხალხს აჭმევენ პურს თუ ადგილობრივს, თუ გარედგან მოსულთ, უნდა მართალი ვთქვათ, რომ ძალიან ბეჯითად ეკიდებიან ეს მასწავლებლები თავის მოვალეობას. ოცს ჯერ მაგალითი არ არის, რომ დაჰკლებოდეს ვინმე, მაგრამ ოციდან ოცამდე რას აკეთებენ, აი თუ სდა ქალების გიმნაზიაში, ალლაჰმა უწყის მოწაფეებს თითოს ორ-ორი რეპეტიტორი ჰყავს. სკოლის ფულს წელიწადში ხუთ და ექვს თუმანს იხდიან, მოსამზადებელსაც თვეში 10—20 მან. მაშ რა ქნან? ჩამორჩებიან ამხანაგებს, პროგრამა გასავლელი დარჩებათ.

მთელი სოფლის წვრილი თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, ფოფოდიები და დიაკვნები ჩამოსახლდნენ გორში შვილებისთვის, დაანებეს თავი ქათმებს, ინდაურებს, ღორებს, სახლებს, ბაღებს, ვენახებს. ქათამ-ინდაურებს სოფლის ქურდ-ბაცაცები სჭამენ, ბაღ-ვენახების ღობეებს შეშადა სწვავენ და სახლებისას კარ-ფანჯრებს იპარავენ. შვილები სამაგიეროდ ნათლდებიან. განათლებულები როცა შინ დაბრუნდებიან, აღარც ბაღი, აღარც ვენახი და სახნავი მიწები. სახლს კრამიტი დამტვრეულია, კიბე ჩამოწოლილია და კარები სადღაც გაპარულა.

— მამა, ეკითხება შვილი, რა ამბავია ეს სახლი, ამაში დგომა როგორ შეიძლება, რატო „რემონტი“ არ გიქნია?!

— რითა, შვილო?

— როგორ თუ რითა? რა უყავ ბაღისა და ვენახის შემოსავალი?

— სანახევროდ მივეცი სხვას, ხილი დაბერდა და შეშად დავჭერითო, ვენახი ყინვამ წაახდინა.

— მიწებს მაინც გაჰყიდიდი, აბა რასა ჰგავ ეს სახლი, ამაში განა ადამიანს ედგომება?!

— გავყიდე.

— გავყიდეო?! სად შეჭამე მერე!

— გორში.

— როგორ თუ გორში, მგონი სულ კარტში წააგე და პადვლებში გაფლანგე. დააჭყიტა თვალები განათლებულმა შვილმა.

— კი, შვილო, ზოგი იქ და მომეტებული კი შენმა განათლებამ წაიღეს. სახლის ქირა, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა. სკოლის ფული და მომეტებული კი თქვენმა რეპეტიტორებმა. შვილმა ყურები ჩამოყარა. მართლაც დიდძალი ფული იხარჯებოდა მამას ხუთ შვილში მარტო-სწავლის ფული 300 მან. შეჰქონდა. მოვიდოდა შვილი ტირილით—რა გატირებს? „დვოიკა“ დამისვეს.

— რათა?

— არ ვიცოდი.

— რატომ?

— არ ამიხსნეს.

— როგორ თუ არ აგიხსნეს, მაშ რას აკეთებენ?

— რა ვიცი რას აკეთებენ. დაგვიდებენ თითს აი აქედან—აქამდე ისწავლეო. როგორ უნდა მესწავლა მთელი ფურცელი გაუგებარ ენაზე დაწერილი!

— მაშ რა ვქნათ?—მასწავლებელმა სთქვა: Вѣра Петровна ჰოგამზადებს თვეში 20 მანეთადაო, თუ არა და მეორე წელიწადს დაგაგდებენ, ან გამოგაგდებენო.

ვერა პეტროვნას მოწაფესაც ასეთი დღე ადგია. ის კიდევ Лидія Ивановна სთან ჰგზავნის. მამის ჯიბიდან კი ამოდის და ამოდის ფულები ულევლად, მამული კი ყინულივით ილევა და ილევა. ბოლოს შინ ყველანი მშიერი მუცლებით და ძირ-გავარდნილი ჩექმა-ბაშმაკებით ბრუნდებიან. აქ მამა წარსულ სიმდიდრეზე ოცნებობს, ვაჟი მსუქან ჯამაგირიან ადგილზე და ქალები კიდევ აპელატიანებზე. ამ ზამთარში შეშა აკლდებათ და ყველა ოცნებიდან გამოჰყავს.

— აბა, სტუდენტო,—ეძახის ვაჟს მამა, აიღე ცული ხელში და „სტუპაი“ ტყეში, თორემ სიცივით დავიხოცებით.

ამ სიცივემ ასოციაციის [illegible] სიცხე მომაგონა.

— რა სიცხე? ზაფხულის პაპანაქება.

— არა.

— მაშ ტიფისა თუ შავი-ჭირისა?

— არა.

— მაშ უფილენციისა?

— არა!

— მაშ რაღა ოხრობა სიცხეა, არ მეტყვი?

— რა სიცხე და მე იმ სიცხეს მოგახსენებ, რაც პროვინციელ კორესპონდენტს ადგია.

— როგორ, კაცო?

— აი როგორ. ლაპარაკში შევესწარ, მედუქნეები და მთავარ-დიაკვნები ხითხითებდნენ: ერთმა დასწერა მთავრობაზე, მერე ბანკზე, ვითომ ფულებია გაფლანგულიო, ჩვენ კი შორს დავრჩით და ის კი სამი წლობით გაასეირეს ცივ ქვეყანაშიო.

— მაშ მაგ სიცხეზე ელაპარაკებოდი? არა უშავს-რა, იქ ცივ ქვეყანაში გამონელდება სიცხე.

— არ ვიცი, მეც სიცხეს ხომ არ მომცემს, რომ ერთი უკულმართობა მეც გამოვაქვეყნო. აქაურ სასტატო სემინარიასთან არსებობს ორკლასიანი დაბალი სასწავლებელი, მოწაფეები სულ ადგილობრივი ღარიბ-ღატაკი ხალხის შვილებია, აბა ჩინოვნიკი რუსობა იქ შვილს რათ მიაბარებს.

ამ სასწავლებელში პირველ განყოფილებაში წინად ქართულად ასწავლიდნენ, ეხლა კი, (არ ვიცი რამდენი წელიწადია) არ ვიცი გაძლიერებული პენციის ბრალია თუ რა ოხრობისა, აქაური მასწავლებელი ბ. კ—ვი —ქართველი, უსუსურ ბალღებს ჯერ რუსულ წერა-კითხვას ასწავლის და მერე ქართულს. ქართული ჯერაც არ დაუწყიათ. აბა რასაკვირველია ჩვენი ჯამაგირიანი ინტელიგენცია საქართველოს გაბედნიერებს, რაღა კოდელი ნინო უნდა. ჰო, კიდევ. შარშან აქაურ ქალების გიმნაზიაში დიდი განხეთქილება სუფევდა. წლეულს კი ღვთით სრული დობილ-ძმობილობაა. ამ დობილ-ძმობილობას რომ კეთილი ნაყოფი გამოეღო, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ მგონი ზარალის მეტი არა მოიტანა-რა. ხომ იცით, ისეთი დროა, ხმის ამოღებას სიჩუმე სჯობია, მაგრამ ქალების გიმნაზიაში, რომ გალობის მასწავლებლი (კიდევ სხვებიც) ისეთი დანიშნეს, რომელმაც არც ქართული იცის და არც ერთი ქართული სიმღერა, ამას მგონი დიდი გამოცნობა არა სჭირდება. ნუ თუ იმ სასწავლებელში, რომელიც თითქმის საკუთრად მოწაფეთა მშობლების ფულით ინახება, მშობლებს არ უნდა ეკითხებოდნენ—რამეს? კაი ნაწილი აქ სწავლა-დამთავრებულ ქალებისა სოფლებში მიდიან მასწავლებლად. ნუ თუ არ უნდა იცოდნენ ამათ რამდენიმე ქართული ხმა? თუ საჭირო არ არის და მშობლებს რაღათა ჰყრიან წყალში. რუსული სიმღერები რაში უნდა გამოადგეს სოფლის მასწავლებელს? თორემ რუსული ისწავლონ რა. აქ შარშანდლამდე გალობა—სიმღერას ასწავლიდა გოგლიჩიძე, მუდამ როცა კი საჭიროება მოითხოვდა წარმოდგენა—კონცერტებისთვის, ქართულ ხოროს მოაწყობდა ხოლმე, ის გააძევეს და დღეს საქმე ამ ყოფაშია. აქ არ არსებობს მშობელთა წრე და არც არავინ თავს იცხელებს იმის დასაარსებლად. ამავე სასწავლებელში პირველ განყოფილებაში ქართულ ენას კვირაში ორი გაკვეთილი აქვს დათმობილი და ისიც ერთზე დაუყენებიათ, ასე რომ მეორე განყოფილებაში ბავშვები თითქმის ვერა კითხულობენ ქართულს.

სამღთო წერილის სწავლებაც რუსულად სწარმოებს დაბალ განყოფილებებში. აბა რა უნდა ჰქნას ქართველმა ბავშმა, როცა უცნობ ენაზე მთელს ფურცელს აძლევენ დასასწავლად? იმდენად არ იცის რუსული ლაპარაკი, რომ თავის სიტყვითა სთქვას, თუ ზეპირად არ დაისწავლა და სად შეუძლიან 8—9 წლის გოგონას მთელი ფურცლის დაზეპირება?! მგონი კანონი არ უშლის სამღთო წერილის სამშობლო ენაზე სწავლებას პირველ 2—3 წელიწადს.

ჩვენი მეზობლების სომხების სკოლიდანაც განდევნილ იყო ქართული ენა. წარმოიდგინეთ ამათი შოვინისტობა: ბავშვებმა ქართული ენის მეტი არა იცოდნენ რა. დაადგებოდა ყარაბაღელი მასწავლებელი და ართმევდა სულს. არ შეიძლებოდა ქართულად ახსნა და თარგმნა- წერა-კითხვას ვინლა იტყვის. ათავებდნენ მოწაფეები, სასწავლებელს, ვერც სომხური იცოდნენ, ვერც რუსული და არც ქართული წერა-კითხვა. ცხოვრებაში მაინც მერე სწავლობ-

დნენ ქართულ წერა-კითხვას, რადგან მიწერ-მოწერა და ვაჭრული დამოკიდებულება მარტო ამ ენაზე ეხერხებოდათ. ეხლა კი, როგორც მითხრეს, შემოუღიათ ქართულის სწავლება, რამდენად მართალია, არ ვიცი.

აქედ დიდი დარიანობაა. ჯერ თოვლი არ გვინახია. დარიანობამ თაგვი ძალიან გააჩინა მინდორ'ში. არც ეს ხმელი ყინვებია ქინახულისთვის სასარგებლო. თუ ასე გაგრძელდა, მოსავალი რიგიანი არ მოვაო. აქეთ სოფლის ნაწარმოები ყველა ოხრად არის, ურემი ბზე შარშან—შარშანწინ 3—4 მ. იყიდებოდა. ეხლა 40 კაპ. მეტად ველარა ჰყიდიან ზოგი მერე.

კოდალა.

## მოწერილი ამბები

**ს. შემოქმედი** (გურია). კვირას, 26 დეკ., შემოქმედის კანცელარიასთან მთავრობის მოწერილობით ყრილობა შესდგა, რომელზედაც ოთხი საზოგადოების ხალხი დაესწრო: შემოქმედის, დვაბზუის, ბახვისა და დიხაშრო'სა. მოწერილობაში ეწერა, გუბერნატორი მობრძანდებაო.

ხალხი ყრილობას გულდებლად დაესწრო... მაგრამ, გუბერნატორის მაგიერ, მაზრის უფროსი გვეწვია პირველ საათზე. ხალხი დილის შვიდ საათიდან უცდიდა. მან ხალხს გამოუცხადა: „ვიცით, რომ ფირალებს (ყაჩაღები) ინახავთ, ამიტომ თქვენ უნდა დაიჭიროთ და ჩაგვაბაროთ. ნამესტნიკიდან სასტიკი ბრძანებაა, რომლის ძალით თქვენ ამ ოთხ საზოგადოების ხალხმა, უნდა კაკეთოთ სოფლების ყოველ ადგილებში საყარაულოები, სადაც ყარაულებად თქვენივე კაცები უნდა იყვნენო. იმათ ეძლებათ დაჭერა ყველა შემჩნეულ პირთა. თუ რომელიმე თქვენგანი გულგრილად მოეკიდა ამ საქმეს, ციმბირში გაგზავნილი“. უბრძანა იქვე მყოფ ბ.ბ. მამასახლისებს—ჟუჟუ-ადასა და კ. ფეშკოვს, რომ ხალხი არ გაეშვათ, სანამ ამ საქმეს არ მოაგვარებდნენ.

ამის შემდეგ მაზრის უფროსი ოზურგეთში დაბრუნდა. ხალხი კი ბრძანების აღსრულებას შეუდგა.

— აქ ქურდ-ბაცაცობა ძალიან გახშირებულია.

20 დეკ. ღამით გასძარცვეს ოთხი სვანელი მუშა კაცი. სამოცდა ათი მანეთი წაართვეს. თითქმის მთელი წლის ნამუშევარი. გამძარცველი გულდა სოფელმა დაიჭირა და რადგანაც არ გატყდა, პოლიციას გადასცა.

— ეხლა მამასახლისად კ. ფეშკოვი გვყავს; ხალხმა სხვა აირჩია, მაგრამ მთავრობამ არ დაამტკიცა.

ადგილობრივ ინტელიგენტთა ფხიზელი მოქმედიანობა და თანამედროვე ცხოვრების თვალყურის გდება იქიდანაც ჩანს, რომ ბევრს მათგანს არც კი შეუტყვია ტოლსტოის გარდაცვალება!..

ვ. ჭალელი.

—

**ნიგოითი** (გურია). საით გავიქეთ, იქით წავიქეცით, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენ ნიგოითელ გლეხებზე ზეგამოჭრილი. გასულის წლის მეორე ნახევარში თავაშვებულ ყაჩაღების მოქმედებისა გამო, მთავრობის მამასახლისი დაგვინიშნა ოთხი ჩაფრით, მწერალიც საგანგებოდ გამოიწერეს, „ექვსი თვის ვადით ხართ დასჯილი ყაჩაღების შენახვისთვისაო“, — გამოგვიცხადეს. ერთი თვე-და აკლდა ექვს თვეს რომ დამით მიმავალ ერთ ჩაფარს ყაჩაღები დაუხვდნენ და სასიკვდილოდ დასჭრეს, დაჭრილი ქუთაისის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის გამო ექვს თვეს მეორე ექვსი თვეც ამ მიზეზით დაგვიმატა.

მექრთამეობა კარგა ხანია, რაც არსებობდა ჩვენში, მაგრამ რაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოხდა, ჩვენს სოფელს არ ახსოვს. ერთის სიტყვით, მექრთამეობა, მეზობლებისაგან ერთიმეორის დაბეზღება უმაღლეს წერტილამდე ავიდა.

ბოლოს მართებლობის მამასახლისი მოხსნეს და საზოგადოებას არჩევნების ნება მოგვცეს. ამ ამბავს საზოგადოება სიხარულით მიეგება.

მახსოვს, ამ ათი წლის წინად როცა მამასახლისის არჩევნები მოხდებოდა, სამამასახლისოდ მომზადებული პირნი დიდ ფაციფუცში იყვნენ, იკვრაგდნენ ახალ ჩოხებს, ჩექმებს და სხვა. რომ საზოგადოებაში კარგად გამოჩენილიყვნენ, ეგდეთ აგრეთვე წინდაწინ მომზადებული მეზობელ-ნათესავები რომ მათთვის მიეცა ხმა. ასეთი სურათი წამომიდგა თვალწინ როდესაც ახალი არჩევანის დღე დაგვინიშნეს, კანდიდატები ბლომად დაასახელა საზოგადოებამ და თითქმის ყველანი თანხმა იყვნენ მამასახლისობაზე კენჭი ეყარათ. საზოგადოებამ ხმის უმეტესობით მ. გ. ფირცხალაიშვილი აირჩია.

— მამასახლისად ხარ ნამყოფი? ეკითხება ბოქაული ამ ჩვენ ახლად არჩეულს...

— კი, ბატონო?

— როდის?

— 1906 წ.-ჯმ, ალბად ერთობის მამასახლისი იქნებოდი და აკი იმიტომ აგირჩიეს...

ეს სიტყვები უნებლიეთ მახსენდება როცა ჩვენს ახალ მამასახლისის მოქმედებას გუკვირდები. რადგა მამასახლისს ჩვენივე საზოგადოების მცხოვრებს ვირჩევთ, იმისაგან აგს, უოგვედ შემთხვევაში არ უნდა გელოდეთ, ნამეტურ ისეთისაგან როგორცაა ფირცხალაიშვილი. მაგრამ სამწუხაროდ, იგივე შეგიწროება, იგივე სურათია დღესაც.

ნიგოითელი გლეხი.

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ჭიათურა.** 26 ამ თვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა ქ-ნ ქილარჯიშვილის მონაწილეობით ითამაშეს ერთ მოქმედებიანი პსიხოლოგიური დრამა გესი: „პირველი და უკანასკნელი კოცნა“ და ორმოქმედებიანი კომედია აზიანისა: „გაცრუებული იმედები“. ამნაირ დრამის შესრულება ძალიან ძნელია სცენის მოყვარეების მიერ. აქ უფრო პირველი ალაგი უჭირავს მიმიკას, ამიტომ ნაკლებად იყო გადმოცემული ფედიას სულის ტანჯვა, ქენჯნა. ლოღიკური ხმის ამაღლება წინადადებებზე სრულებით არ იყო, ამიტომ მაყურებელთათვის გაუგებარი დარჩა ის ადგილი, რატომ უნდა ფედიას, რომ მისმა ცოლმა მანიამ გასცეს იგი. საზოგადოდ დრამამ კარგად ჩაიარა: ეტყობოდა რეჟისორის ხელი. მხიარულად ჩაატარეს კომედია. ძალიან უფერულად ჩაიარა კეკელას და ნინოს სცენამ. კეკელა (ს. ჩხეიძე) ძალიან სუსტობდა. როგორი როლიც უნდა იყოს ის ერთი ტემბრით ლაპარაკობს. მის ხმაში უფრო ტირილი ისმის. არ უვარგა არც დიქცია არც პლასტიკა. კარგს იზამდნენ თუ მას სცენაზე არ გამოუშვებდნენ და პიესის საერთო მსვლელობას არ გააფუჭებინებდნენ. ეს უფრო რეჟისორის საქმეა. მან უნდა იცოდეს ვის უშვებს სცენაზე. კარგი იყო ნუცუბიძე სტეფანეს როლში. თუმცა ზოგიერთ ალაგას აჭარბებდა. გიგოს (ვანელი) გრიმი არ უვარგოდა. იმისი გრიმი უფრო მთვრალ კაცს შეეფერებოდა, ვიდრე გიგოს. მეორეც ხშირად უმატებდა თავის სიტყვებს და უფრო საზოგადო ტონის დაბლა, რის გამოც შთაბეჭდილებას ახდენდა. ლიზამ (ქ-ნ გოგოლაშვილისა) საკმაოთ დაახასიათა ლიზასებური ქალები. კარგი იყო ნინოს როლში ქ-ნი ქილარჯიშვილისა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. თეატრი სავსე იყო ხალხით და ბევრნიც უკან გაბრუნდნენ. საჭირო არ არის ზედმეტი ბილეთების გაყიდვა.

ამ წინაზე მოხდა სარეპერტუარო კომისიის კრება. თავმჯდომარედ იქმნა არჩეული ი. გომელაური და მდივნად დ. ბურჭულაძე. შეადგინეს დაახლოვებითი რეპერტუარი ამ წლის ბოლომდე. შემდეგი კრება მოხდება იანვარში მთელი წლის რეპერტუარის შესამუშავებლად. შემდეგ კვირისთვის იმეორებენ: „უბედურ ნაბიჯს“.

ანკეხი.

—

**ქ. გორი.** ქართულ დრამატიულ დასმა 27 დეკემბერს აქაურ საკრებულოში ვასო აბაშიძის მონაწილეობით გამართა წარმოდგენა:

წარმოდგენილი იყო მოლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია: „ქმართა სკოლა“.

ასე მწყობრად და ცქრიალად ნათამაშევი პიესა ჩვენ არასოდეს არ გვინახავს გორში. ამ პიესას ჩვენ ტფილის'შიაც დავესწარით მაგრამ აქ უფრო გაცილებით მხიარულად ჩაიარა.

კარგები იყვნენ: ვ. აბაშიძე (სგანარელი) ა. ლოლუა (ლიზეტა) პიერრეტა (იზაბელა) და ი. ზარდალაშვილი (ვალერი)

არა უშავდათ რა შოთაძეს, გვარამძეს, მამფორიას და ციციშვილს, თუმცა ამ უკანასკნელს როლის უცოდინარობა უშლიდა ხელს.

დასასრულ გაითამაშეს ვოდევილი „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარშუა“ რომელშიაც ვასო აბაშიძის მოხდენილი თამაშმა ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

საზოგადოება საკმარისად დ-ესწრო. უფრო ბევრი ხალხი იქნებოდა რომ აფიშები ადრე გამოეკრად.

როგორც გავიგეთ შემდეგი წარმოდგენა გაიმართება იანვრის შუა რიცხვებში. წარმოდგენილი იქნება: „ძალამ აღმარ-თსა ჰხნავს“ ვალ. გუნიას მონაწილეობით.

მე არ ვარ!

—

**ქართული დრამის სეზონის მეხამთვე.** 26 დეკემბერს შესრულდა მესამე თვე, რაც ქართული თეატრის სეზონი დაიწყო ტფილისში. ამ თვის განმავლობაში გარდა ორი სალიტერატურო-სამხატვრო საღამოსა და ერთიც საიუბილეო ბენეფისისა კოტე მესხისა გაიმართა ცხრა წარმოდგენა. გარდა ვოდევილებისა წარმოდგენილი იქნა ერთი ახალი პიესა—(„მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა), ერთიც ისეთი, რომელიც მხოლოდ წლევანდელ სეზონში წარმოადგინეს პირველად („ნიშანი ყოფა-ქცევაში“ შვაიერისა) და დანარჩენი 8 უკვე წარმოდგენილი წინანდელ სეზონებში.

ათი პიესიდან 3 იყო ორიგინალური: „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა, „ირინეს ბედნიერება“ დ. კლდიაშვილისა და „დავიდარაბა“ დ. ერისთავისა. დანარჩენი 7-კი ნათარგმნი: „ყაჩაღები“ —შილლერისა, „ურიელ აკოსტა“—გუცკოვისა, „ჰამლეტი“—შექსპირისა, „ქმართა სკოლა“—მოლიერისა, „ახალი მოძღვრება“—ბარრეტისა, „ნიშანი ყოფა-ქცევაში“—შვაიერისა და „მედეია“—სუკორინისა. ცხრა წარმოდგენიდან ერთი იყო ვ. აბაშიძის საბენეფისო. ათი პიესიდან ვლ. ალმესხიშვილი რეჟისორობდა 5 („ყაჩაღები“, „ურიელ აკოსტა“, „ჰამლეტი“, „ახალი მოძღვრება“ და „ნიშანი ყოფა-ქცევაში“), ვ. შალიკაშვილი, 2 (მსხვერპლი“ და „ირინეს ბედნიერება“), ვ. აბაშიძე—2 („დავიდარაბა“ და „ქმართა სკოლა“) და ვ. გუნია—1 („მედეია“).

ამ თვეში მაყურებელთა განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია, როგორც თავის შინაარსით, აგრეთვე ასრულებისა და დადგმის მხრით, ახალმა პიესამ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლმა“, რომლისათვის ახალი დეკორაციები იქმნა დახატული და ახალი ტანისამოსი შეკერილი.

## რუსეთი

**განათლების მინისტრის მდგომარეობა.**

რუსეთის განათლების მინისტრმა კასსომ სათათბიროდან უკანვე წაიღო მისი წინამოადგილის მიერ წარდგენილი საუნივერსიტეტო და საშუალო სასწავლებელთა კანონ-პროექტი. საუნივერსიტეტო დებულებანი განათლების მინისტრის ამხანაგ გეორგიევის შედგენილი იყო. როგორც სჩანს, მისი ახლად შემუშავება დასჭირდებათ.

როგორც ამბობენ ახალ მინისტრ კასსოს მდგომარეობა ძალიან რყევაშია და მოსალოდნელია მალეც გადადგეს თანამდებობიდანაო.

**სტუდენტ სალდაზის დაპატიმრება.**

ამ ორი თვის წინად პეტერბურგში სამთამადნო ინსტიტუტის სტუდენტი სალდაზი დააპატიმრეს. მას თურმე 1905 წლიდანვე გაფაციცებით დაეძებდა პოლიცია. რამდენიმე პოლიტიკურ საქმესა და ბალტის მხარის რევოლუციურ ორგანიზაციის წევრობას აბრალებენ. სალდაზის დატუსაღებისა გამო სამთა-მადნო ინსტიტუტში ბრალმდებელი და ჟანდარმთა პოლკოვნიკი იყვნენ, ინსტიტუტის დირექტორსა და ინსპექტორს დიდხანს ესაუბრნენ.

**მოზარდ თაობის აღზრდა.**

პეტერბურგი. გზად გამოიარა მთელ ქვეყნიერობაზე ცნობილმა ინგლისელმა გენერალმა რობერტ ბოდენ-პოულმა.

იგი სხვათა შორის, ცნობილია როგორც მოზარდ თაობის ზნეობრივსა და ფიზიკურ აღზრდის ორგანიზაციათა შემქმნელი, რომელსაც სახელად ეწოდება „Boy-school-“.

— ამ ჟამადაო—უთქვამს ბოდენ-პოულს—არც ერთი ქვეყანა არაა, სადაც ასეთი ორგანიზაციები არ არსებობდეს. სულ 3—4 წელია რაც ეს აზრი ამოტივტივდა. მაგრამ საოცარის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას. არც საკვირველია, მით უმეტეს რომ ახალგაზრდობის ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდის საქმე დიდი ხანია მომწიფდა.

გაერთიანებთ ახალგაზრდობა, აღზრდა მიეცით და დირსეული [illegible] ქენი და ჩინებული მომავალი [illegible] თო.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო. უმორჩილესად გთხოვთ ქვემოთ მოყვანილი წერილი თავისთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ.

ამ წლის ნოემბერში ტომსკის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან გამოგზავნილი სამი თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, თითო თხზულების სამი ცალი ე. ი. სულ ცხრა წიგნი. ეს მეტად სასიამოვნოდ დაურჩა სათვისტომოს და ვალდებულად სთვლის თავს უღრმესი მადლობა გადაუხადოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ისე ავტორს ამ თხზულებათა პატივცემულ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს. სათვისტომოს მონდობილობით [illegible]

## განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ქალების და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულენი: 10—12 ს. ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. მელიქსეტოვი: 11—12 ს. სიფილისი, ვენერ., საშ. და კ[illegible].
ა. მ. პუტინოვა. 12—1 ს. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. [illegible] და საბავშვო.
ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. [illegible] და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერმანი: 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. გ. გეიშკაპა-ენგელი: 6—6½ ს. საბებო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინკევიჩი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. [illegible] დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

**„ნაკადული“**

(წლიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს

**24 წიგნი მცირე წლოვანთთ 12 წიგნი მოზრდილთთ**

ფასი ჟურნალისა: წლიურად ... (further lines illegible)

გამომცემელი ... ნინო ნაკაშიძე

„მეთაურ“ ... მ. ჭ. ი. თუმანიშვილი.

**მოზიარეთათვის თავშესაფარი გებია-ქალის თეხარელისა.**

ოლგას ქ., სახლი ... ინსტიტ., ... შინაური და ... ლებიან ყოველ დროს ... სასხლეთოთ ... სოლომოთავის. მიიღება ქალის ავადმყოფობით ... დოთა, ძიძების დასაქირავებლად, ... და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (ი.—41)

**ვ. უროვის დრამა სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად. გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიეველის. ფასი ორი აბაზი.

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

---

მოითხოვეთ გუბერნიის კახური ღვინოები ფირმისა

**● გრანდ-კახეთია ●**

მთა ბაზაზარი, სახლი 13.

ფასები: ბოთლი 20—50 კ., ვედროთი 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.
ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიული და კახური საჭმელებით.

(20—240—16) პატრონები ნ. გ. ჩიტაძე და ს. ხიმშიაშვილი

**საგუბერნატორო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.**

ახალაძე ... ახალი ორი სექცია ... (further lines illegible)

**საუმაწვილო სახატებიანი ჟურნალი**

**ჯეჯილი**

ოლდ მორიგ წლობით

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისთვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ... 4 მ., ... 5 მან. ... 8 მ., ... 40 კ.

... მისამართი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили“.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა. (5—3)

ერთად-ერთი იმპორტიორი ... სალიანის თევზ მარინად და მოვაჭრეთ

**ამ. კეკელოვების მაღაზიას**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება ...

**ახალ-ახალი ოსეტრინა და სევრიუგა ხიზილალა** (Зернистая)

პარკისა და კოლომენსკის

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები მიიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

მოვიდა საუკეთესო ... ხიზილალა (Кетовая) 60 კ. 60 კ. ...

(5—128—69)



**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები**

... (further lines illegible)

ПАРИЖЪ 7 PARIS 7 S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

(Мещъ № 53647.) (34—15—19)

„სახალხო გაზეთის“ რედ. გამოცემით გამოვიდა დასასტამბად

**1911 წლის კედლის კალენდარი**

... ფასი 40 კ.

**სახალხო კალენდარი 1911 წ.**

... Тифлисъ Т-ва „Сорапанъ“ (18—244—15)